

Geo დაიჯესტი

№4 / აპრილი, 2021 წ.



სარჩევი

კიბერ თავდასხმა ამერიკის ერთ-ერთ უმსხვილეს ნავთობსადენზე.....	3
ევროკავშირი სამხედრო კონცეფციის შემუშავებას აპირებს.....	5
ევროპის საბჭოს ახალი გადაწყვეტილება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ	6
GRECO - მორიგი ანგარიში საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ	8
აშშ კიბერსივრცეში კოლექტიური უსაფრთხოების გაძლიერებაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს.....	10
საქართველოს პრეზიდენტსა და ნატო-ს გენერალურ მდივანს შორის სატელეფონო საუბარი შედგა.....	11

გიორგი ანთაძე, „ჯეოქეისი“-ს თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების დირექტორი

კიბერ თავდასხმა ამერიკის ერთ-ერთ უმსხვილეს ნავთობსადენზე



რამდენიმე დღის წინ საერთაშორისო კიბერ დანაშაულის ჯგუფმა, რომელიც DarkSide -ის სახელითაა ცნობილი, კიბერ შეტევა განახორციელა აშშ-ის ერთ-ერთ უმსხვილეს ნავთობსადენზე - Colonial Pipeline-ზე. აღნიშნული ნავთობსადენი ერთ-ერთი უმსხვილესია ქვეყანაში და დღეში დაახლოებით 380 მილიონი ლიტრი ნავთობი გადააქვს, რაც მთლიანად აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროს მოხმარების 45%-ს შეადგენს დაახლოებით.

აღნიშნული თავდასხმის შედეგად მოხდა კომპანიის სისტემაზე ე.წ. ransomware შეტევა, რაც გულისხმობს ინფორმაციის სპეციალური სკრიპტით დაშიფვრას და მის ტყვეობაში აყვანას გამოსასყიდის მიღების მიზნით. შეტევამ მთლიანი სისტემის პარალიზება მოახდინა და მხოლოდ რამდენიმე დღის შემდგომ შესაძლებელი გახდა გარკვეული სიმძლავრეების ამუშავება. აღნიშნული შეტევის მასშტაბი იმდენად დიდია, რომ მან შეიძლება მსოფლიოს ნავთობ ფასებზეც მოახდინოს გავლენა, თუ შეტევის შედეგები განგრძობითი იქნება და მას ფასების 2-3% გაძვირებაც შესაძლოა მოყვეს.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კრიმინალური დაჯგუფების მიერ განხორციელებული შეტევის შედეგად, დასავლეთის კორპორაციებმა და ბიზნეს სექტორმა რამდენიმე ათეული მილიარდის ზარალი უკვე ნახა გასული სამი წლის განმავლობაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯგუფი მხოლოდ დასავლური წარმოშობის სუბიექტებზე ახორციელებს შეტევებს, რაც აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ აღნიშნული კრიმინალური კიბერდაჯგუფება პოსტსაბჭოთა სივრციდან მოქმედებს. თუმცა, თვითონ ჯგუფის განცხადებით, ისინი მხოლოდ კორპორაციების წინააღმდეგ მოქმედებენ, მათი შეტევები არასდროს არის მიმართული ჯანდაცვის, განათლების სისტემის და ხელისუფლების ორგანოების წინააღმდეგ, ხოლო მიღებული გამოსასყიდის ნაწილს ქველმოქმედებას ახმარენ.

ექსპერტების მოსაზრებით Darkside-ი გამოცდილი კიბერ კრიმინალების მიერ შექმნილი დაჯგუფებაა, რომელიც მაქსიმალური ფინანსური სარგებლის მიღებაზე არის ორიენტირებული.

აღსანიშნავია, რომ კომპანიას არ დაუკონკრეტებია გადაიხადა თუ არა გამოსასყიდი და გავრცელებულ განცხადებაში საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ Colonial Pipeline განხორციელებული შეტევის შედეგების ლიკვიდაციითაა დაკავებული.

აღნიშნული შეტევა კიდევ ერთხელ ნათლად მიუთითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურის კიბერ-თავდასხმებისგან მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფა. აღნიშნული მიმართულებით დღეს სქართველოში არსებული სიტუაცია შემფოთების საგანი უნდა იყოს და დროულ რეაგირებას საჭიროებს სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მხრიდან, განსაკუთრებით იმ პირობებში, რომ ქვეყანას ჯერ კიდევ არ აქვს განახლებული კიბერ-უსაფრთხოების სტრატეგია და რაც ჩვენი პარტნიორი ქვეყნების მხრიდან კიბერ-უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობისა და დახმარების მიღების შემაფერხებელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

ევროკავშირი სამხედრო კონცეფციის შემუშავებას აპირებს



© dw.com

მიმდინარე წლის ნოემბერში ევროკავშირი სამხედრო კონცეფციის პირველი ვერსიის განხილვას აპირებს. აღნიშნული დოკუმენტი, რომელსაც „ევროკავშირის სტრატეგიული კომპასი“ ეწოდება, ჟოზეფ ბორელმა უნდა წარმოადგინოს. აღნიშნული უფლებამოსილება მან ევროკავშირის საბჭოსგან მიიღო.

ევროკავშირის პრეს-სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ აღნიშნული პრეზენტაციის შემდეგ გაგრძელდება დოკუმენტის შემდგომი განხილვები.

„კონცეფცია სტრატეგიული კომპასი“ შეეცდება განსაზღვროს ევროკავშირის ხედვები თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით. შესაბამისად, ევროკავშირის საბჭო მოუწოდებს საგარეო საკითხებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებით უმაღლეს წარმომადგენელს წარმოადგინოს აღნიშნული დოკუმენტი განსახილველად 2021 წლის ნოემბერში დაგეგმილ საბჭოს სხდომაზე.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირმა უნდა მოახდინოს საკუთარი ინტერესებისა და ღირებულებების გატარება და, ასევე, შეეძლოს უსაფრთხოების გლობალური გამოწვევების და საფრთხეების გამკლავება.

ასევე აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღით ადრე გაიმართა ევროკავშირის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების მოლაპარაკებები, რომლის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ აუცილებელია გაძლიერდეს ევროკავშირის როლი კიბერ-უსაფრთხოების ფართო მიმართულებებით. ასევე აღნიშნეს, რომ აშშ და ევროკავშირმა გადაწყვიტა განაახლოს თანამშრომლობა ნატო-ს მიმართულებითაც. მხარეები შეთანხმდნენ ერთობლივი მუშაობის ახალი შესაძლებლობებისა და ფორმატების განვითარებაზე.

ბაჩო თორთლაძე, „ჯეოჯესტი“-ს საერთაშორისო და საჯარო სამართლის მიმართულების დირექტორი

ევროპის საბჭოს ახალი გადაწყვეტილება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ



© <https://www.coe.int/en/web/tirana/committee-of-ministers>

2021 წლის 12 მაისს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომა გაიმართა თემაზე - „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში“, რომელზეც ორგანიზაციამ საკითხზე რიგით მე-8 გადაწყვეტილება მიიღო. დოკუმენტი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერის თვალსაზრისით, არა ერთ მნიშვნელოვან გზავნილს შეიცავს. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებები მინისტრთა კომიტეტს 2014 წლიდან გამოაქვს. აღსანიშნავია გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მიერ მიმდინარე წლის იანვარში მიღებულმა [გადაწყვეტილებამ](#) საქმეზე საქართველო v. რუსეთის ფედერაცია (II) სრულიად განსხვავებული პოლიტიკური და სამართლებრივი კონტექსტი შესძინა მინისტრთა საბჭოს დოკუმენტს. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება პირველი დოკუმენტია, რომელშიც საერთაშორისო სასამართლოს მიერ აღიარებულია საქართველოს ტერიტორიების სამხედრო ოკუპაცია და რუსეთის ფედერაციის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ჩანაწერი რუსეთის მხრიდან ცხინვალისა და აფხაზეთის ეფექტიანი კონტროლის შესახებ გავლენას ახდენს საერთაშორისო ორგანიზაციების სამეტყველო ენასა და რეზოლუციის ტექსტებზე. თუ ამ დრომდე ოკუპაციის საკითხის ხაზგასმაზე შეინიშნებოდა გარკვეული უხერხულობა, სასამართლო გადაწყვეტილებამ მთლიანად შეცვალა პარადიგმა. ამ კუთხით, მინისტრთა საბჭოს დოკუმენტის ტექსტი ერთ-ერთი პირველი თვალსაჩინო მაგალითია.

მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია რუსეთის ფედერაციის მხრიდან 2008 წლის ომის შემდგომ პერიოდში კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის ხელშეშლა, რეგიონის უსაფრთხოების ხელყოფა, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში ფართო სამხედრო წარმომადგენლობა და მუდმივი სამხედრო აქტივობები, 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შეუსრულებლობა, გამშვები პუნქტების მოწყობა და ადმინისტრირება. დოკუმენტში დაგმობილია რუსეთის ფედერაციის მიერ ბორდერიზაციის პროცესის გაგრძელება, ადმინისტრაციული გამშვები პუნქტების გრძელვადიანად ჩაკეტვით ჰუმანიტარული კრიზისის შექმნა, ეთნიკურად ქართველების უფლებების პერმანენტული დარღვევა. მათ შორის, აღნიშნულია რუსეთის ფედერაციის მხრიდან ეთნიკურად ქართველთა სახლების დანგრევა, ასევე, იძულებით გადაადგილებულ პირთა შინ დაბრუნების აღკვეთა, ზაზა გახელაძის უკანონო პატიმრობა, დავით ბაშარულის, გიგა ოთხოზორიას, არჩილ ტატუნაშვილისა და ირაკლი კვარაცხელიას მკვლელობები და მათი გამოუძიებლობა.

კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქართველოს სამხედრო ოკუპაციის სტატუსის გამოკვეთისა და ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის არაღიარებისთვის ქვეყანამ გამოიყენოს ყველა პოლიტიკური თუ სამართლებრივი პლატფორმა. საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევისთვის რუსეთის პასუხისგებაში მისაცემად აუცილებელი პოლიტიკურ-სამართლებრივი წინაპირობაა ამ თემის მუდმივი პედალირება. სახელმწიფოთა აღქმაში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაციის სტატუსი ფუნდამენტური პრინციპის დონეზე უნდა იყოს გამჯდარი. მინისტრთა კომიტეტის, როგორც ევროპული საბჭოს ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური ორგანიზაციის მხრიდან ასეთი გზავნილების გაჟღერება მნიშვნელოვან აქცენტს სძენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ბრძოლას. თუ გავითვალისწინებთ გარემოებას, რომ მინისტრთა კომიტეტი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მონიტორია, უკეთ წარმოჩინდება მიღებული დოკუმენტის პოლიტიკურ-სამართლებრივი კონტექსტი და მისი წონა.

GRECO - მორიგი ანგარიში საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ



2021 წლის 12 აპრილს ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედმა კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფმა (გრეკო) საქართველოს მიერ მეოთხე რაუნდის შეფასების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების [ანგარიში](#) გამოაქვეყნა. დოკუმენტი შეეხება პარლამენტში, მოსამართლეთა და პროკურორთა კორპუსში კორუფციის პრევენციის კუთხით არსებულ მდგომარეობას. გრეკომ შესაბამისობის პროცედურის (რეკომენდაციების შესრულების ხარისხის განსაზღვრა) ფარგლებში ესტონეთი და შეერთებული შტატები შეარჩია, რომლებმაც დანიშნეს მომხსენებლები. გრეკოს შეფასებით არსებული 16 რეკომენდაციიდან საქართველომ სრულად შეასრულა 5, ნაწილობრივ-8, ხოლო არ შეუსრულებია 3.

გრეკოს ანგარიში ხაზს უსვამს საპარლამენტო საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს. განსაკუთრებით გამოყოფს საკანონმდებლო ორგანოს ვებ-გვერდზე კანონპროექტებისა და ინიციატივების, ასევე, საკომიტეტო მუშაობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. გამოწვევად ასახელებს საკონსულტაციო პროცესის ხარისხობრივი ზრდის აუცილებლობასა და ეთიკის კოდექსთან დაკავშირებით პარლამენტის წევრების ტრენინგის საჭიროებას.

მოსამართლეთა კორპუსის რეფორმირების კუთხით გრეკო რამდენიმე პოზიტიურ ცვლილებაზე ამახვილებს ყურადღებას. ანგარიშის თანახმად, გაუმჯობესებულია

მოსამართლეთა დანიშვნის კრიტერიუმები, მოსამართლედ გამწესების შესახებ გადაწყვეტილების შეფასებისა და დასაბუთების მექანიზმები, ასევე, დაიხვეწა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრის პროცედურები. გრეკოს შეფასებით, გასაუმჯობესებელია უზანაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის წესი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის პროცედურები. შეფასების მიხედვით, ზოგადად, გასაძლიერებელია მუშაობა ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ამაღლების მიმართულებით.

დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს პროკურორთა კორპუსში არსებულ სისტემურ გაუმჯობესებებსა და გამოწვევებზე. პოზიტიური კუთხით აღნიშნულია მიღწევები ეთიკის კოდექსის პრაქტიკული განხორციელების მიმართულებით, ასევე, პროკურორთა დანიშვნისა და დაწინაურების პროცედურები. ანგარიშის თანახმად, პრობლემად რჩება დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხების დახვეწა, რაზეც დამატებით მუშაობის გაძლიერებაა საჭირო.

გრეკოს დასკვნები მნიშვნელოვანია ანტიკორუფციული მართონის ყოველ ეტაპზე ქვეყნის მიღწევებისა და გამოწვევების ნეიტრალური აქტორის მხრიდან შეფასების თვალსაზრისით. ანგარიშის ყოველი ახალი რაუნდი ქვეყანას უსაზღვრავს ერთგვარ სამოქმედო გეგმას, გამოკვეთს პრიორიტეტულ მიმართულებებსა და ქვეყნის ამოცანებს. კორუფციასთან ბრძოლის კუთხით არსებობს სასურველი ნიშნული, თუმცა არ არსებობს საბოლოოდ მიღწეული მიზანი, რამეთუ ეს არის მუდმივმოქმედი პროცესი, რომელშიც ჩართულია სახელმწიფო შესაბამისი ინსტიტუტებით.

ხათუნა ბურკაძე, „ჯეოქეისი“-ს ამერიკისმცოდნეობისა და ევროატლანტიკური მიმართულების დირექტორი

აშშ კიბერსივრცეში კოლექტიური უსაფრთხოების გაძლიერებაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს




© <https://www.whitehouse.gov/about-the-white-house/>

2021 წლის 15 აპრილს თეთრმა სახლმა გაავრცელა განცხადება რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებულ საზიანო საგარეო მოქმედებების შესახებ. დოკუმენტის თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კიბერუსაფრთხოების საკითხებზე. ასევე, აშშ აგრძელებს ღია, უსაფრთხო და სანდო ინტერნეტის მხარდაჭერას და ხაზს უსვამს კოლექტიური უსაფრთხოების გაძლიერებას კიბერსივრცეში. უფრო ზუსტად, რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებულ საზიანო საგარეო მოქმედებების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების თეთრი სახლის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი საერთაშორისო დონეზე კიბერუსაფრთხოების მიდგომების გასავითარებლად გამოყოფს ორ ეტაპს. პირველ ეტაპზე ამერიკის შეერთებული შტატები ხელს შეუწყობს ჩარჩოს შემუშავებას, რათა კიბერსივრცეში სახელმწიფოთა ქცევა იყოს პასუხისმგებლიანი. ასევე, მარშალის ცენტრში, გარმიშში, გერმანიაში იგეგმება ტრენინგების ჩატარება საგარეო საქმეთა სამინისტროების იურისტებისა და პოლიტიკის განმსაზღვრელებისათვის. ტრენინგები მიზნად ისახავენ კიბერსივრცეში მოქმედი საერთაშორისო ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას.

მეორე ეტაპი კი ნიშნავს კიბერსივრცეში კოლექტიური უსაფრთხოების გაძლიერებას. ამ კონტექსტში CYBER FLAG 21-1-ის სახელწოდებით დაგეგმილი კიბერ წვრთნა (აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტი გეგმავს მოკავშირეებთან, მათ შორის გაერთიანებულ სამეფოსთან, საფრანგეთთან, დანიასთან და ესტონეთთან აღნიშნული კიბერ-წვრთნის განხორციელებას) ხელს შეუწყობს ისეთი გაერთიანების, კიბერ-ალიანსის ჩამოყალიბებას, რომელიც ორიენტირებული იქნება მოკავშირეთა კიბერ შესაძლებლობების განვითარებაზე, კრიტიკული ინფრასტრუქტურის, კრიტიკული მნიშვნელობის რესურსების დაცვასა და საჭიროების შემთხვევაში, კიბერთავდაცვითი ოპერაციების განხორციელებაზე.

საქართველოს პრეზიდენტსა და ნატო-ს გენერალურ მდივანს შორის სატელეფონო საუბარი შედგა



© www.president.gov.ge

2021 წლის 22 აპრილს საქართველოს პრეზიდენტსა და ნატო-ს გენერალურ მდივანს შორის სატელეფონო საუბარი შედგა.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა საქართველოს პრეზიდენტს, ევროკავშირის მედიაციით, ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის შეთანხმების მიღწევა მიულოცა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მხარეებმა

განიხილეს რეფორმების მნიშვნელობა ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მისაღწევი წარმატებისათვის.

რაც შეეხება ნატო-საქართველოს სამომავლო თანამშრომლობის საკითხებს, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, უნდა ითქვას, რომ დღეს რეგიონში უსაფრთხოების გარემო საკმაოდ დამძიმებულია. ასევე, წარმოუდგენელია ერთიანი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის უზრუნველყოფა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გარეშე. ამჟამად საქართველოსა და უკრაინას, როგორც შავი ზღვის რეგიონის სანაპირო ქვეყნებს უსაფრთხოების მეტი გარანტიები სჭირდებათ.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა მომავალში შესაძლოა განვითარდეს სამი სცენარიდან ერთ-ერთი სცენარის შესაბამისად. პირველი სცენარის თანახმად, ალიანსის წევრი ქვეყნები მიიღებენ გადაწყვეტილებას საქართველოსათვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მინიჭების შესახებ. თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე საქართველოს წევრობის მოსამზადებლად საჭირო შესაბამისი ინსტრუმენტები გააჩნია. იგულისხმება წლიური ეროვნული პროგრამა, ნატო-საქართველოს კომისია, „განახლებული არსებითი პაკეტი“. წლებია, ალიანსის მხარდაჭერით, ხორციელდება რეფორმები ნატო-ს სტანდარტებთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად ამისა, გაწევრიანების სამოქმედო გეგმის პოლიტიკური მნიშვნელობა უდავოა, რადგან ის მეტად გამოკვეთს საქართველოს ევროატლანტიკურ პერსპექტივას. მეორე სცენარი გულისხმობს ნატო-ს გენერალური მდივნის ყოფილი მოადგილის ალექსანდრ ვერშბოუს იდეის საფუძველზე საქართველოსა და უკრაინისათვის ალიანსის ასოცირებული წევრის ან მისი მსგავსი სტატუსის მინიჭებას. ახალი სტატუსი ორივე ქვეყანას მისცემს ალიანსთან თანამშრომლობის ახალ შესაძლებლობებს უსაფრთხოების სფეროში არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად. მესამე სცენარი კი ნიშნავს გაწევრიანების სამოქმედო გეგმისა და ასოცირებული წევრის სტატუსის გარეშე საქართველოს ალიანსში დაჩქარებული წესით მიღებას. პირველი და მეორე სცენარის შემთხვევაში საქართველოზე ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლი კოლექტიური თავდაცვის შესახებ ვერ გავრცელდება. ის მხოლოდ ალიანსის წევრ ქვეყნებს ეხება. ამდენად, მოვლენების მესამე სცენარით განვითარება ჩვენთვის უმჯობესია, თუმცა ეს დამოკიდებულია რეგიონში მიმდინარე პროცესებზე, ჩვენს მიერ განსახორციელებელ ვალდებულებებსა და ალიანსის ყველა წევრი ქვეყნის მზაობაზე მხარი დაუჭირონ ნატო-ში ახალი წევრების მიღებას.